

შპს ვი დი ჯი გრუპ

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	30.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	139 200	377 537	448 600
არამატერიალური აქტივები	2	8 244	9 421	10 416
ი/პ -ზე გაცემული სესხები	5	565 178	535 178	465 178
სულ გრძელვადიანი აქტივები		712 622	922 136	924 194
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3	553 007	751 652	1 023 175
სავაჭრო მოთხოვნები	4	196 203	299 561	294 291
გადახდილი ავანსები	6	465 120	149 243	94 482
საპროცენტო მოთხოვნა	5	40 880	40 880	18 819
საგადასახადო აქტივი	7	-	728	918
ფული და ფულის ექვივალენტები	8	38 572	62 824	109 128
სულ მიმდინარე აქტივები		1 293 782	1 304 888	1 540 812
სულ აქტივები		2 006 404	2 227 024	2 465 007
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1 495	1 495	1 495
დაგროვილი მოგება	9	117 811	85 681	300 342
პერიოდის მოგება		(66 438)	147 920	(54 783)
სულ კაპიტალი		52 868	235 096	247 055
ვალდებულებები				
ბანკის სესხის გრძელვადიანი ვალდებულება	10	926 446	245 411	326 009
ბანკის სესხის მიმდინარე ვალდებულება		70 700	753 542	748 620
პარტნიორის სასესხო ვალდებულება			81 050	
სავაჭრო ვალდებულებები		708 541	716 849	952 513
მიღებული ავანსები	11	64 653	2 293	2 368
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		3 798	-	11 648
საგადასახადო ვალდებულებები	7	161 372	185 453	176 795
სხვა ვალდებულება		18 025	7 330	
სულ ვალდებულება		1 953 536	1 991 928	2 217 952
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება		2 006 404	2 227 024	2 465 007

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 20 სექტემბერს
 დირექტორი გ. კალანდარიშვილი



შპს ვი დი ჯი გრუპ

2. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12	757 115	583 498
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან		2 205 312	3 546 309
თვითღირებულების ხარჯი	13	(2 319 644)	(3 194 476)
სხვა პირდაპირი ზედნაღები ხარჯი			
საერთო მოგება		642 784	935 332
კომერციული დანახარჯები	14	(276 842.02)	(465 141.68)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(266 761.83)	(242 801.88)
საოპერაციო მოგება		99 180	227 388
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი	16	(99 235)	2 209
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად ზარალი ნეტო			
ფინანსური ხარჯი	17	(71 430)	(99 662)
ფინანსური შემოსავალი		-	22 061
წმინდა მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	18	(23 880)	17 355
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი	19	49 360	6 783
მოგება დაბეგვრამდე		(46 004.72)	176 133.65
მოგების გადასახადის ხარჯი/შელავათი	20	(20 433)	(28 214)
წმინდა მოგება		(66 438)	147 920

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია პენეჯმენტის სახელით 2025 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი

გ. კალანდარიშვილი




შპს ვი დი ჯი გრუპ

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გვ.---2

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება გვ.---3

სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვ. 4

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	30.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	139 200	377 537	448 600
არამატერიალური აქტივები	2	8 244	9 421	10 416
ი/პ -ზე გაცემული სესხები	5	565 178	535 178	465 178
სულ გრძელვადიანი აქტივები		712 622	922 136	924 194
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3	553 007	751 652	1 023 175
სავაჭრო მოთხოვნები	4	196 203	299 561	294 291
გადახდილი ავანსები	6	465 120	149 243	94 482
საპროცენტო მოთხოვნა	5	40 880	40 880	18 819
საგადასახადო აქტივი	7	-	728	918
ფული და ფულის ექვივალენტები	8	38 572	62 824	109 128
სულ მიმდინარე აქტივები		1 293 782	1 304 888	1 540 812
სულ აქტივები		2 006 404	2 227 024	2 465 007
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1 495	1 495	1 495
დაგროვილი მოგება	9	117 811	85 681	300 342
პერიოდის მოგება		(66 438)	147 920	(54 783)
სულ კაპიტალი		52 868	235 096	247 055
ვალდებულებები				
ბანკის სესხის გრძელვადიანი ვალდებულება		926 446	245 411	326 009
ბანკის სესხის მიმდინარე ვალდებულება	10	70 700	753 542	748 620
პარტნიორის სასესხო ვალდებულება			81 050	
სავაჭრო ვალდებულებები		708 541	716 849	952 513
მიღებული ავანსები	11	64 653	2 293	2 368
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		3 798	-	11 648
საგადასახადო ვალდებულებები	7	161 372	185 453	176 795
სხვა ვალდებულება		18 025	7 330	
სულ ვალდებულება		1 953 536	1 991 928	2 217 952
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება		2 006 404	2 227 024	2 465 007

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 20 სექტემბერს
დირექტორი გ. კალანდარიშვილი

შპს ვი დი ჯი გრუპ

2. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12	757 115	583 498
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან		2 205 312	3 546 309
თვითღირებულების ხარჯი	13	(2 319 644)	(3 194 476)
სხვა პირდაპირი ზედნადები ხარჯი			
საერთო მოგება		642 784	935 332
კომერციული დანახარჯები	14	(276 842.02)	(465 141.68)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(266 761.83)	(242 801.88)
საოპერაციო მოგება		99 180	227 388
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი	16	(99 235)	2 209
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად ზარალი ნეტო			
ფინანსური ხარჯი	17	(71 430)	(99 662)
ფინანსური შემოსავალი		-	22 061
წმინდა მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	18	(23 880)	17 355
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი	19	49 360	6 783
მოგება დაბეგვრამდე		(46 004.72)	176 133.65
მოგების გადასახადის ხარჯი/შეღავათი	20	(20 433)	(28 214)
წმინდა მოგება		(66 438)	147 920

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოსაწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი

გ. კალანდარიშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვი დი ჯი გრუპი“ (ს/კ204560607) დაფუძნდა 2008 წ. 2 ოქტომბერს.

საქმიანობის სფერო: შპს „ვი დი ჯი გრუპის“ ძირითადი საქმიანობაა საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმისა და საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება და არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა. წარმოების დაფინანსების ძირითადი წყაროებია: პროკრედიტ ბანკის სესხები და პარტნიორთა კაპიტალი.

ხელმძღვანელობა. ბოლო მდგომარეობით 2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი და დირექტორია გივი კალანდარიშვილი.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 20 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი:

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგებაზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება.

დარიცხვის მეთოდი

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც შესაფერისია კომპანიისათვის.

2.2. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის, ხოლო არაფულადი მუხლების გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრული შემოსავლებისანგარიშებაში.

წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	დოლარი	ევრო
31.12.2022	2,702	2,8844
31.12.2023	2.6894	2.9753
31.12.2024	2.8068	2.9306

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები თუ ის ცვლის ან აკეთილშობილებს აქტივს განიხილება როგორც კაპიტალიზებადი ხარჯი და შეიტანება აქტივის ღირებულებაში

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. წლიური ცვეთის ნორმა განსაზღვრულია კლასიფიკაციის მიხედვით. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში, ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება.

საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება ანალოგიურად, როგორც შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულების განსაზღვრა. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს (კონვერსიის ხარჯებს) მასში არ შედის სესხით სარგებლობის დანახარჯები.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთის ნორმები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობა 25-50 წელი

საწარმოო მანქანა-დანადგარები 5-10 წელი

საწარმოო ინვენტარი 2-5 წელი

ტრანსპორტი 5-10 წელი

საოფისე აღჭურვილობა 3-8 წლამდე.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ანგარიშგებაში ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება 15%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

2.5. მარაგები

საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების

თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

გადამუშავების დანახარჯები

გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან, როგორიცაა, ნედლეული მასალა და პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ასევე მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

2.6. ფინანსური ინსტრუმენტები

(ფინანსური აქტივები ფინანსური ვალდებულებები)

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

მის ფასს მე-11 განყოფილების თანახმად საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ან უიმედო ვალის შემცირებით, (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება შემცირებული ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, განსაზღვრავს საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვს, განისაზღვროს, თუ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. კომპანია ახდენს უიმედო მოთხოვნების შეფასებას და გაუფასურების ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამოღება საექვოა, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

თუ ამოღება შესაძლებელი გახდება იზრდება გაუფასურების რეზერვის თანხა კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან: რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მიღებული სესხებით და

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით. საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება

2.7. ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.8. გადასახადები

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა. 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის ხარჯს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება. აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.9. შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს მის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

გაყიდვები ხდება კრედიტით, ნორმალური საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30- დან 90 დღემდე.

კონკრეტული ხელშეკრულებები მყიდველს ანიჭებს საქონლის დაბრუნების უფლებას იმ შემთხვევაში თუ პროდუქტს გამოყენების ვადა გაუვიდა, დაბრუნებული საქონლის შეფასება ხდება გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. კომპანია კონკრეტულ კლიენტებს სთავაზობს მოცულობის გამო ქეშ ბეჭს, მას შემდეგ რაც პერიოდის განმავლობაში შეძენილი პროდუქტების რაოდენობა გადააჭარბებს შეთანხმებულ რაოდენობას ასეთ დროს აღნიშნულით მცირდება შემოსავალი

შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან/და გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.10. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსულობები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული

დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული სხვა დანახარჯები.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

2.11. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სესხით სარგებლობის დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯები მოიცავს: საპროცენტო ხარჯს, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობას, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად

2.12. პირობითი და უპირობო გრანტები

გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ უნდა აღიარდეს, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება; თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი უნდა აღიარდეს როგორც ვალდებულება.

საწარმო გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

თუ გრანტი კომპანიას გადაეცემა პირობის გარეშე, იგი დაუყოვნებლივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

2.13. მიღებული და გაცემული ავანსები.

მიღებული და გაცემული ავანსი კლასიფიცირდება როგორც არაფულადი მუხლი და გადაფასებას არ ექვემდებარება.

2.14. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება მფლობელების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16. კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდებაგრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

2.17. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

2.18. ბალანსშემდგომი თარიღის მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული და ამ პერიოდში გაგრძელებულ გლობალური მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე, კერძოდ, კორონოვირუსის კოვიდ-19 გავლენა შეიძლება ითქვას რომ კომპანიისთვის იყო მნიშვნელოვანი გამოწვევა წინა საანგარიშგებო პერიოდში. ამ პერიოდში გაცილებით მომზადებული და ინფორმირებული დახვდა. კომპანიამ მოახერხა არა მარტო ფუნქციონირებადობის შენარჩუნება, არამედ რიგი ღონისძიებების გატარებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა და გაფართოვება.

სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები 31.12.2024 წ. მდგომარეობით

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ინვენტარი	სულ
ანგარიში	2150	2180	2160	2170	2190	
ისტორიული ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	348 888	214 098	12 875	5 212	76 726	657 799
ცვლილება						
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(115 421)	(86 460)	(4 265)	(2 127)	(927)	(209 199)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	233 468	127 639	8 610	3 085	75 799	448 600
ისტორიული ღირებულება						
2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	348 888	214 098	12 875	5 212	76 726	657 799
შეძენა/კაპიტალიზაცია					6 459	6 458.83
გასვლა (რეალიზაცია)	-	(15 525)				(15 525.00)
ძირითადი საშუალებებიდან საქონელში გადატანა-კვალიფიკაციის შესვლა					(7 497)	
ჩამოწერა	-	(19 030)			(4 388)	(23 417.59)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	348 888	179 543	12 875	5 212	71 300	617 818
ცვლილება						
2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	(115 421)	(86 460)	(4 265)	(2 127)	(927)	(209 199)
პერიოდის ცვლილება	(21 417)	(26 548)	(2 450)	(1 449)	(333)	(52 198)
გასული ცვლილება	-	4 663				4 663
ჩამოწერის ცვლილება	-	16 453				16 453
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(136 838)	(91 892)	(6 715)	(3 576)	(1 260)	(240 281)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	212 050	87 651	6 160	1 636	70 040	377 537
ისტორიული ღირებულება						
2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	348 888	179 543	12 875	5 212	71 300	617 818
შეძენა/კაპიტალიზაცია						-
გასვლა (რეალიზაცია)	(348 888)					(348 888)
ძირითადი საშუალებებიდან საქონელში გადატანა-კვალიფიკაციის შესვლა						-
ჩამოწერა						-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	179 543	12 875	5 212	71 300	268 930
ცვლილება						
2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	(136 838)	(91 892)	(6 715)	(3 576)	(1 260)	(240 281)
პერიოდის ცვლილება	(13 755)	(22 170)	(3 713)	(363)	(40)	(40 042)
გასული ცვლილება	150 593					150 593
ჩამოწერის ცვლილება						-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(0)	(114 063)	(10 428)	(3 939)	(1 300)	(129 730)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(0)	65 481	2 447	1 273	70 000	139 200

2. არამატერიალური აქტივები 31.12.2023 წ. მდგომარეობით

ისტორიული ღირებულება	საბუღალტრო პროგრამის ლიცენზია
ნაშთი 31.12.2022 წ.	11 322
ცვეთა	
ნაშთი 31.12.2022 წ.	(905)
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	10 416

ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 01.01.2023	11 322
შეძენა 2023 წ.	-
გასვლა/ჩამოწერა	-
ნაშთი 31.12.2023 წ.	11 322

ცვეთა	
დაგროვილი ცვეთის ნაშთი 01.01.2023	(905)
პერიოდის ცვეთა 2023 წ.	(996)
გასვლა/ჩამოწერა	-
ნაშთი 31.12.2023 წ.	(1 901)
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	9 421

ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 01.01.2024	11 322
შეძენა 2023 წ.	-
გასვლა/ჩამოწერა	-
ნაშთი 31.12.2024 წ.	11 322

ცვეთა	
დაგროვილი ცვეთის ნაშთი 01.01.2024	(1 901)
პერიოდის ცვეთა 2024 წ.	(1 177)
გასვლა/ჩამოწერა	-
ნაშთი 31.12.2024 წ.	(3 078)
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	8 244

3. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2024	2023	2022
გასაყიდი სასაქონლო მატერიალური მარაგი	289 203	274 737	278 925
საკუთარი წარმოებისთვის განკუთვნილი ნედლეული და მასალა	196 043	354 044	575 318
დაუმთავრებელი წარმოება	24 971	-	1
მზა პროდუქცია	42 791	122 871	168 932
	553 007	751 652	1 023 175

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით. სასაქონლო მარაგი არ არის მოძველებული და შესაბამისად ღირებულება შეესაბამება რეალურ ღირებულებას. გაყიდული საქონელი ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

4. სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	196 203	299 561	294 291
	196 203	299 561	294 291

6. გადახდილი ავანსები

	2024	2023	2022
საქონლის მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	75 786	35 954	17 002
საქვეანგარიშო პირებზე გაცემული	389 334	103 164	65 364
საპენსიო სააგენტოში გადახდილი ავანსები	-	-	10 454
ტენდერისათვის გადახდილი დეპოზიტები	-	10 125	1 661
	465 120	149 243	94 482

7. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

	2024	2023	2022
საგადასახადო აქტივი	-	(728)	(918)
საგადასახადო ვალდებულება	161 372	185 453	176 796
	161 372	184 725	175 878

შენიშვნა: 2024 წელს მოხდა კომპანიის საგადასახადო შემოწმება, შემოწმების შედეგად 2021,2022,2023 წლებზე დაერიცხა საგადასახადო გადასახადი 117136 ლარი, ხოლო 2024 წელზე დაერიცხა 28360 ლარი. ეს გადასახადი ვინაიდან არ დაწერილა საგადასახადო შემოწმების საბოლოო აქტი არ არის დარიცხული ჯერ საგადასახადო ბარათზე, თუმცა კომპანიამ მოახდინა საგადასახადო დავალიანების გადაანგარიშება და ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024	2023	2022
ფული საღაროში	36 879	62 106	37 861
ფული საბანკო ანგარიშებზე	1 694	717	71 267
	38 572	62 824	109 128

5. ი/პ -ზე გაცემული სესხები

	2024	2023	2022 კორექტირებული
გაცემული სესხები	565 178	535 178	465 178
სესხის საპროცენტო დავალიანება	40 880	40 880	18 819
	606 058	576 058	483 997

9. კაპიტალი

	2024	2023	2022
სასტარტო კაპიტალი	1 495	1 495	1 495
დაგროვილი მოგება	235 096	245 560	403 500
გაცემული დივიდენდი	(115 790)	(159 879)	(103 158)
პერიოდის მოგება	(66 438)	147 920	(54 783)
	54 363	235 096	247 055

11. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2024	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	708 541	716 849	952 513
მყიდველებიდან მიღებული ავანსები	64 653	2 298	2 368
სახელფასო ვალდებულებები	3 798	-	11 648
სხვა მიმდინარე ვალდებულება	18 025	7 330	-
	795 017	726 477	966 529

10. ბანკისგან მიღებული სესხები					
2022 წ. საწყისი ნაშთი	2022 წ. დაფარული სესხი	2022 წ. სესხის ნაშთი	საწყისი ნაშთი-ექვივალ.	საპროცენტო ხარჯი -ექვივალ.	დაფარული სესხი -ექვივალ.
\$ 68 000.00	\$ 4 125.39	\$ 63 874.61	210 636.80	23 662.00	54 065.29
\$ -	\$ 16 158.66	\$ 83 841.34	-	27 430.16	101 519.60
\$ -		\$ 250 000.00	-	58 429.87	95 225.00
\$ 68 000.00	\$ 20 284.05	\$ 397 715.95	210 636.80	109 522.03	250 809.89
	2021 წ. 31 დეკემბერი	ექვივალენტი ლარში			
სესხი ძირი	\$ 68 000	210 637			
საკრედიტო ხაზი	\$ 300 000	929 280			
	\$ 368 000	1 139 917			
სესხის მიმდინარე ნაწილი	942 058.81				
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	197 858.00				
2023 წ. საწყისი ნაშთი	2023 წ. დაფარული	2023 წ. სესხის ნაშთი	2023 წ. საწყისი	2023 წ. საპროცენტ	2023 წ. დაფარული
\$ 63 874.61	\$ 3 741.68	\$ 60 132.93	172 589.20	23 662.00	25129.72
\$ 83 841.34	\$ 22 533.37	\$ 61 307.97	226 539.30	27 430.16	78157.32
\$ 250 000.00		\$ 250 000.00	675 500.00	58 429.87	
\$ 397 715.95	\$ 26 275.05	\$ 371 440.90	1 074 628.50	109 522.03	103 287.04
	2022 წ. 31 დეკემბერი	ექვივალენტი ლარში	2023 წ. 31 დეკემბერი	ექვივალენტი ლარში	
სესხი ძირი	\$ 147 716	399 128	\$ 121 441	326 603	
საკრედიტო ხაზი	\$ 250 000	675 500	\$ 250 000	672 350	
	\$ 397 716	1 074 628	\$ 371 441	998 953	
სესხის მიმდინარე ნაწილი	\$ 277 061.00	748 618.82	\$ 280 189.73	753 542.26	
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	\$ 120 655.00	326 009.81	\$ 91 251.17	245 410.90	
პარტნიორის სესხი ლარში 2023 წელი	ნაშთი 3/დასაწყისში	მიღება	გადახდა	ნაშთი 31.12.2023	
სესხის მოძრაობა	-	161 050	80 000	81 050	

	2023 წ. 31 დეკემბერი	ექვივალენტი ლარში	2024 წ. 31 დეკემბერი	ექვივალენტი ლარში
სესხი ძირი	\$ 121 441	326 603	\$ 155 261	435 787
საკრედიტო ხაზი	\$ 250 000	672 350	\$ 200 000	561 360
	\$ 371 441	998 953	\$ 355 261	997 147
სესხის მიმდინარე ნაწილი	\$ 277 061.00	748 618.82	\$ 25 189.00	70 700.49
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	\$ 120 655.00	326 009.81	\$ 330 072.00	926 446.09
პარტნიორის სესხი ლარში 2023 წელი	ნაშთი 3/დასაწუისში	მიღება	გადახდა	ნაშთი 31.12.2023
სესხის მოძრაობა დოლარში	371 441	360 000	376 180	355 261
სესხის მოძრაობა ლარში	998 953	983 904	985 711	997 147

12. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან-ქაღალდი	1 965 892	3 091 224
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან-ქიმიკა	239 420	455 085
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	757 115	583 498
	2 962 427	4 129 807

13. თვითღირებულების ხარჯი

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის და საქონლის თვითღირებულება- ქაღალდი	(1 607 401.51)	(2 425 640)
გაყიდული პროდუქციის და საქონლის თვითღირებულება-ქიმიკა	(186 011.47)	(377 655)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(480 705.81)	(391 069)
სხვა საწარმოო ხარჯი	(45 524.93)	(113)
	(2 319 644)	(3 194 476)

14. რეალიზაციის ხარჯები

2024

2023

დისტრიბუციის ხელფასი	(123 503.30)	(186 258)
დისტრიბუციის საწვავი	(48 093.84)	(72 242)
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა		(36 319)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(42 269.28)	(57 739)
სხვა რეალიზაციის ხარჯი	(1 196.60)	(5 630)
საწყობის იჯარა		(67 016)
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა		(3 983)
მარკეტინგული მომსახურება-მცირე მეწარმეები	(61 779.00)	(35 955)
	(276 842)	(465 142)

15. ადმინისტრაციული ხარჯები

2024

2023

ადმინისტრაციული ხელფასის ხარჯი	(83 727.31)	(146 268)
იჯარის ხარჯი	(70 528.95)	(1 950)
კომუნალური/კომუნიკაციის ხარჯი	(10 138.33)	(9 401)
სამეურნეო ხარჯი	(2 067.42)	(1 342)
ქონების გადასახადი	(2 569.00)	(4 153)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	(11 869.30)	(9 398)
ცვეთის ხარჯი	(1 207.04)	(2 362)
ბანკის საკომისიო	(6 691.40)	(4 472)
კონვერტაციის ხარჯი		(5 133)
ბუღალტრული და სხვა პროფესიული მომსახურება	(40 011.37)	(49 890)
ჯარიმა საურავები	(3 265.43)	(6 218)
სხვა ხარჯი	(34 686.28)	(2 215)
	(266 762)	(242 802)

16. ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება

2024

2023

ძირითადი საშუალებების სარეალიზაციო ფასი	97 112.71	13 071
რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	(196 347.66)	(10 862)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები		
	(99 235)	2 209

17. ფინანსური შემოსავალი/ ხარჯი

2024

2023

ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი	(71 429.98)	(99 662)
საპროცენტო შემოსავალი		22 061
	(71 430)	(77 601)

18. წმინდა მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

2024

2023

სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული საკურსო მოგება/ზარალი	(23 880)	17 355
	(23 880)	17 355

19. სხვა სრული შემოსავალი და ხარჯი

	2024	2023
სადაზღვეო ზარალის ანაზღაურება	22 950	6 837
საქონლის ჩამოწერა/ზედმეტობაში აღიარება	26 410	(44)
სხვა სრული მოგება/ზარალი		(10)
წინაპერიოდში არასწორად ჩათვლილი დღგ-ს შემცირება		
	49 360	6 783

20. მოგების გადასახადი

	2024	2023
მოგების გადასახადი	(20 433)	(28 214)